



ნიუ-იორკში დაბადებულმა ქართველმა ბავშვებმა თბილისს უმღერეს (+ ფოტო)

2015 წლის 15 ივნისს მანჰეტენზე "Lincon Theatre" - ში, ქალბატონ დიანა ბაგრატიონის ფონდის ხელშეწყობით ყოველწლიური აქცია "Young Talents For Smoke-Free Planet" გაიმართა. აქცია უკვე 4 წელია ტარდება და მისი მთავარი მიზანია შეახსენოს ახალგაზრდებს, რომ მოწევა იწვევს ბევრ დაავადებებს და მავნებელია ჯანმრთელობისათვის. კონცერტში ამერიკაში მცხოვრებმა სხვადასხვა ეროვნების გამოჩენილმა ახალგაზრდა მუსიკოსებმა მიიღეს მონაწილეობა.

გუშინდელ საღამოზე ნიუ-იორკში დაბადებული ქართველი ემიგრანტი ბავშვების მიერ შესრულებული ქართული მუსიკის ჰანგებიც გაისმოდა. ამით ქართველმა ემიგრანტებმა სოლიდარობა გამოუცხადეს თბილისში მომხდარ სტიქიურ უბედურებას.

ქართული კულტურის ცენტრის "ფესვების" მოსწავლეებმა მარიამ გოდერძიშვილმა და ქეთევან დუმბაძემ შეასრულეს რევაზ ლალიძის "თბილისო". აკომპანიმენტი ამერიკაში მოღვაწე ქართველმა პიანისტმა ირაკლი შარაძემ გაუკეთა.

ანსამბლ "ფესვების" მოცეკვავეებმა პედაგოგ ნოდარ გოგოლაშვილთან ერთად ოსტატურად შეასრულეს "დოლური" და ცეკვა "ყაზბეგური".

დედით ქართველმა და მამით იტალიელმა გოგონამ, ვიქტორია ბაიარდიმ, რომელიც მანესტრო მერაბ ებრალიძის მოსწავლეა შეასრულა არნო ბაბაჯანიანის "ელეგია".

კონცერტის დასასრულს ყველა მონაწილემ, განურჩევლად ეროვნებისა ერთად იმღერა ჯონ ლენონის უსაყვარლესი სიმღერა “Imagine”.

” მოხარული ვარ, რომ საქართველოს ასეთი შესანიშნავი ახალგაზრდები ჰყავს და ქართული ნიჭი ყოველთვის გამორჩეულია სხვა კულტურებს შორის. ყოველთვის იგრძნობა, როგორი სითბოთი და მხურვალე აპლოდისმენტებით ხვდება საზოგადოება ქართული კულტურის წარმომადგენლებს, – განაცხადა ქალბატონმა დიანა ბაგრატიონმა ედიტორთან საუბრისას.

როგორც ვიცით ქალბატონი დიანას ფონდი არამარტო ასეთი სახის აქციებით, არამედ ბევრ საინტერესო და მნიშვნელოვან საკითხებზე მუშაობს. ფონდი დახმარებას უწევს იაშვილის ცენტრს კიბოთი დაავადებულ ბავშვებს და ყოველთვის მზად არის მათ დასახმარებლად.

ედიტორი წარმატებებს უსურვებს ქალბატონ დიანა ბაგრატიონს თავის ფონდთან ერთად და ყველა ქართველს.

ავტორი: ცისნამი საყვარლიშვილი

რედაქტორი: ნათია მირსკი



